სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 286

ქ. თელავი დეკემბერი, 2023 წ.

ერთი მხრივ, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემდგომში ''შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სოლომონ რამაზაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,INI.GE ჯგუფი" წარმოდგენილი მისი დირექტორის სანდრო გიუნაშვილის სახით (,,მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები" ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონის, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1]მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტის, ასევე ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი სსაფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „ელექტრონული სერვისების სისტემის" 12 თვის ვადით გამოყენების უფლება (ლიცენზია)

1.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

1.3 შესყიდვის საფუძელი - სსიპ უმაღ/საგანმანათლებლო დაწესებულებების გამონაკლისი გამარტივებული შესყიდვები.

1.4 დაფინანსების წყარო- 2023 წლის საკუთარიშემოსავლები.

CPV კოდი: 48780000 - სისტემის, მონაცემთა შენახვისა და შინაარსის მართვის პროგრამული პაკეტები.

2.ლიცენზია: ფასების განშლა

2.1 ლიცენზიის ღირებულება შეადგენს**17 700 (ჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარს** (ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით) 12 თვიანი ლიცენზია.

2.2 ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ შემსყიდველი არ განაახლებს ლიცენზიას, შეუჩერდება ელექტრონული სერვისების სისტემით სარგებლობა. 30 კალენდარული დღის ვადაში ექნება საშუალება შეინახოს სისტემაში არსებული მონაცემები.30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, შემსრულებელი გაანადგურებს მონაცემებს.

2.3 სერვერული რესურსი:

•გამოყოფილი 1 IP მისამართი

•პლატფორმა: GOOGLE CLOUD

•პროცესორი: 2 VCORE

•ოპერატიული მეხსიერება: 4 GB

. მყარი დისკი 70 GB SSD/RAID10

•სერვერზე ხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი. რეზერვაცია ხდება დღეში ერთხელ.

3.ხელშეკრულების ფასი

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **17 700 (ჩვიდმეტი ათას შვიდასი) ლარს** დღგს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 31 დეკემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2. მისამართი: ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. 1

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 31 დეკემბრამდე.

5.2.1 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დანართში მითითებული მომსახურება შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;

ბ) იმოქმედოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“საქართველოს კანონის მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, კერძოდ:გამოიყენოს სპეციალური წესები, რაც გულისხმობს ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გატარებას. აღნიშნული ზომები გაატაროს მონაცემთა დასაცავად იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი განადგურების, შეცვლის, გამჟღავანების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დაცვა;

გ) მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას;

დ) ხელშეკრულების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების ან მისი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეწყვიტოს და აღნიშნული საფუძვლის წარმოშობამდე, მის მიერ დამუშავებული მონაცემები გადასცეს შემსყიდველს. (მონაცემთა დამმუშავებელს);

ე) მიიღოს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები;

ვ) უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა;

ზ) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს არსებულ მოდულებში ცვლილების განხორციელება, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ახალი მოდულების დამატება თუ ეს შესაძლებელია, პროგრამულად სისტემის პროგრამული კოდიდან გამომდინარე.

თ) პროგრამული ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გასწორება;

ი) შემსყიდველს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც აფერხებს ან შემდგომში შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას

კ) მიაწოდოს პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. შემსრულებელს უფლება აქვს მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისთვის შესაბამისი ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა და ხარისხი, მისცეს ამ უკანასკნელს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ანგარიშწორება;

ბ) დროულად მიაწოდოს შემსრულებელს მოთხოვნილი ინფორმაცია

გ) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1 მხარეები ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ მესამე პირებთან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შინაარსი და უზრუნველყონ კონფიდენციალურობის დაცვა.

7.2 შემსრულებელს ეკისრება პასუხისმგებლობა, მკაცრად დაიცვას მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლის გახმაურებამაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს დამკვეთს და ყველა ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც აღიარებულია საიდუმლოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1 არცერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დარღვევისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომი და საომარი მოქმედებანი და სხვა დაუძლეველი გარემოებები. აღნიშნული გარემოებები დადასტურებული უნდა იქნეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

8.2 მხარე, რომლისთვისაც ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქმნა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია მისი დადგომის და დამთავრების მომენტიდან არაუგვიანეს 5 დღისა წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

მუხლი 9. დავის განხილვის წესი

9.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება

10.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია საქართველოს კანონის - „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ - მე-3 მუხლის მე3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

10.2 დანართები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2025 წლის 1 თებერვლამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი	შემსრულებელი
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის	შპს „INI.GE ჯგუფი”
სახელმწიფო უნივერსიტეტი	მისამართი: გურამიშვილის 7/40
მის: ქ. თელავი, ქართულიუნივერსიტეტის 1	ს/კ 417877131
ს.კ. 231187168	საქართველოს ბანკი
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ანგარიშის ნომერი:
ანგN/ სახაზინო კოდი : 32 04 06 11	დირექტორი:
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	სანდრო გიუნაშვილი
სოლომონ რამაზაშვილი	

დანართი 1

1.პირადი მონაცემები (სტუდენტთა ერთიანი რეესტრი) - სტუდენტის ID, სახელი გვარი, პ/ნ, საგანმანათლებლო ერთეული, სპეციალობა, საფეხური, სემესტრი, ელ. ფოსტა, სტატუსი, ჯგუფი ბრძანების ნომერი.

მოქმედებები: სტუდენტის სტატუსის ცვლილებები, ინფორმაციის გაფილტვრა სასურველი ველების მიხედვით, სტუდენტების რეესტრიდან Ecxel -ში ექსპორტი ყველა მონაცემის მიხედვით, გადასვლა კონკრეტული სტუდენტის დეტალურ ინფორმაციაზე.

სტუდენტის დეტალური ინფორმაცია გაერთიანებულია შემდეგ ჩანართებში

პირადი მონაცემები - სახელი, გვარი, სახელი, გვარი - ინგლისურად, პ/ნ, სქესი, რეგიონი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, კომენტარი, ქვეყანა, სამხედრო აღრიცხვის ადგილი, ჯგუფი, დაბადების თარიღი

საგანმანათლებლო ინფორმაცია - საგანმანათლებლო ერთეული, პროგრამა, საფეხური, სტატუსი, ჩარიცხვის მეთოდი სემესტრი.

ბრძანებები - სახეობა, საგანმანათლებლო პროგრამა, მიღების თარიღი, ამოქმედების თარიღი, ბრძანების ნომერი, აღწერა

სასწავლო ბარათი - სასწავლო კურსები, პროგრამასთან თავსებადი კრედიტების რაოდენობა, სულ გავლილი კრედიტები, GPA

შედარების ფორმა - სასწავლო კურსების აღიარების ბარათი

მობილობა/აღიარება - შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში აღიარებები

განათლება - ინფორმაცია განათლების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია სტუდენტებზე

დოკუმენტები - ელექტრონული დოკუმენტის ატვირთვა

უწყისები - მიმდინარე და დაარქივებული უწყისები, ლოგები

განცხადებები - ქრონოლოგიურად

სტატუსი

ლოგები - სტუდენტთან დაკავშირებული ლოგები

SMS - დაგზავნის სერვისი

ცნობები

ინფორმაცია - ელ. რეგისტრაციის დროს სტუდენტის მიერ ატვირთული ინფორმაციის ნახვა

მოქმედებები: სტუდენტის მონაცემების რედაქტირება

2. სასწავლო პროცესი

2.1. სტრუქტურა - შედგება შემდეგიჩანართებისგან

საგანმანათლებლოერთეული - საგანმანათლებლოერთეულის ID, დასახელება, ინგლისურისახელი, შექმნისთარიღი

საგანმანათლებლო პროგრამა - ID, დასახელება, ინგლისური სახელი, საგანმანათლებლო ერთეული, სემესტრების რაოდენობა, შექმნისთარიღი

მოქმედებები: საგანმანათლებლოერთეულების, პროგრამებისშექმნა/რედაქტირება. (პროგრამებისვერსიებისშექმნა)

2.2. სასწავლოკურსები - ID, დასახელება, კოდი, კრედიტი

მოქმედებები: სასწავლო კურსის დამატება/წაშლა/რედაქტირება. სილაბუსის ატვირთვა PDF ანMs Word-ისსახით, წინაპირობის/ებისდამატება, შეფასების კომპონენტების აწყობა

2.3. უწყისები - უწყისის ID, სასწავლოკურსის ID, დასახელება, კრედიტი, სტუდენტების რაოდენობა, სასწავლოწელი, სასწავლო სეზონი
მოქმედებები: უწყისის შექმნა/რედაქტირება (უწყისებში ჯგუფების შექმნა, უწყისში გაფილტრული სტუდენტების ერთიანად მიბმა, ჯგუფის მიხედვით ფილტრი და ა.შ); უწყისის საბეჭდი ფორმა (უნივერსიტეტის მოწოდებული ფორმის მიხედვით); უწყისზე შეფასებების და კომპონენტების აწყობა; შეფასებების სისტემის აწყობა (უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შესაბამისად); უწყისი და სტუდენტების Excel-შიექსპორტი
2.4. შეფასების კომპონენტები - ID, სახელი, სახელი ინგლისურად, ტიპი, სტატუსი, მოქმედებები
მოქმედებები: შექმნა/რედაქტირება
2.5. აკადემიური რეგისტრაცია - რეგისტრაცია, ჯგუფები, აუდიტორიები, სტუდენტები, კალენდარი

3. კონტაქტები

3.1. შეტყობინებები - ელექტრონული შეტყობინებები სგაგზავნა სისტემაში, სტუდენტი, აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი
3.2. განცხადებები - ID, ავტორი, სათაური, ტექსტი, თარიღი
მოქმედებები: განცხადებების დამატება, გაფილტვრა ველების მიხედვით
3.3. გამოკითხვები - სტუდენტი, პროფესორი, ადმინისტრაცია, კონფიგურაცია
მოქმედებები: გამოკითხვების ორგანიზება და რეპორტები
3.4. SMS შეტყობინებები
4.საბეჭდი ფორმები - ცნობები, ფორმა 26, ნიშნების ფურცელი, დიპლომის დანართი და ა.შ.

5.პარამეტრები

5.1. მომხმარებლები - შედგება შემდეგი ჩანართებისგან: მომხმარებლები, პროფესორები, როლები, ავტორიზაციის პარამეტრები
მომხმარებლები - ID, სახელი, ელ. ფოსტა
მოქმედებები: მომხმარებლის დამატება/რედაქტირება, როლის მინიჭება
პროფესორები - ID, სამომხმარებლო სახელი, სახელი გვარი, პირადინომერი, ელ. ფოსტა.
პროფესორის დეტალური ინფორმაცია :ტელეფონის ნომერი, მოქალაქეობა, მისამართი, სახელი და გვარი ლათინურად.
აკადემიური გამოცდილება - თანამდებობა, სტატუსი, აფილირებული, აფილირების დასრულების თარიღი, არჩევა-მოწვევის დასრულების თარიღი.
მოქმედებები: პროფესორის დამატება, მონაცემების რედაქტირება, SMS შეტყობინებების გაგზავნა
როლები - მომხმარებელი, პროფესორი, სტუდენტი
მოქმედებები: მომხმარებლების როლების შექმნა/რედაქტირება
ავტორიზაციის პარამეტრები - სამომხმარებლო სახელი, პაროლი, ავტორიზაციის ოპერაციები
მოქმედებები: ავტორიზაციის პარამეტრების განსაზღვრა სტუდენტისთვის

5.2. სასწავლო კვირები - კვირა, სტატუსი, მოქმედება, აქტივობა
მოქმედებები: კვირების დაბლოკვის შესაძლებლობა

6.ფინანსები

6.1. საგანმანათლებლო პროგრამები - ID, პროგრამის დასახელება, საგანმანათლებლო ერთეული

მოქმედებები: საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით საფინანსო ხელშეკრულებების შაბლონების შექმნა. ინფორმაციის გაფილტვრის შესაძლებლობები.
6.2. სტუდენტები - ID, სახელიგვარი, პ/ნ, საგანმანათლებლო ერთეული, პროგრამა, საფეხური, გრანტი, შეღავათი, მიმდინარე კრედიტების რაოდენობა, კრედიტის ღირებულება, გადახდილი თანხა, დავალიანება და ა.შ.
მოქმედებები: ინფორმაციის გაფილტვრის შესაძლებლობები არსებული ველების მიხედვით, ინფორმაციის ექსპორტი Excel-ში, მონაცემების შეტანა/რედაქტირება
თითოეული სტუდენტის დეტალური ინფორმაცია შეიცავს შემდეგ ჩანართებს:
გრაფიკი;
ტრანზაქციები;
ინვოისები;
შეღავათები;
გრანტები;
პირადი ბარათი;
ლოგირება;
საგრანტო ტრანზაქციები;
საგრანტო ინვოისები;
სტუდენტთა ხელშეკრულება დამატებითი კრედიტები

6.3. სასწავლო წლები - სასწავლო წლები და სეზონები
მოქმედებები: სასწავლო წლების და სეზონების მართვა

6.4. ტრანზაქციები - ID, სახელი გვარი, პ/ნ, მოქმედება, შემოსული თანხა, წყარო, ბანკის ID, ორდერის ID, სტატუსი, შემდეგ, მანამდე, კომენტარი, თარიღი, თანხის ჩარიცხვის თარიღი
მოქმედებები: ფილტრები ველების მიხედვით, გაფილტრული ტრანზაქციები სექსპორტი Excel-ში

6.5. გრანტები - ID, სახელი, თანხისრაოდენობა, ტიპი
მოქმედებები: გრანტის შაბლონების შექმნა/რედაქტირება

6.6. შეღავათები - სახელი, სეზონი, თანხა, ტიპი, კომენტარი
მოქმედებები: შეღავათების შაბლონების შექმნა/რედაქტირება

6.7. რეპორტები

7.რეპორტინგი
8.დიპლომების დანართი
9.გამოკითხვები
სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მომხმარებლები პირობითად და ყოფილია სამ კატეგორიად:
•სტუდენტები;
•პროფესორები;
•მენეჯერების მხარე, სხვადასხვა გაწერილი უფლებებით (როლებით).
სტუდენტის გვერდი შედგება შემდეგი ჩანართებისგან:
•პირადი მონაცემები;
•შეფასებები;

•საგანმანათლებლო პროგრამა;
•ელ. სწავლება;
•ცხრილი;
•ფინანსები;
•შეტყობინებები;
•GPA დინამიკა;
•აკადემიური რეგისტრაცია.
პროფესორის გვერდი შედგება შემდეგი ჩანართებისგან:
•უწყისები
•შეტყობინებები
•განცხადებები

დანართი 2

ლიცენზიის მომსახურების პირობები

ლიცენზიის პერიოდში:
1.სატელეფონო კონსულტაცია სამუშაო საათებში ორშაბათი პარასკევი 10:00 დან 18:00 მდე;
2.ტექნიკური დახმარება: სამუშაო საათებში ორშაბათი პარასკევი 10:00 დან 18:00;
3.სტანდარტული პრობლემის გასწორება 1-2 სამუშაო დღე;
4.კრიტიკული პრობლემის გასწორება (პრობლემა რომელიც აფერხებს უნივერსიტეტის სასიცოცხლო პროცესებს) 1 კალენდარული დღე;
5.24/7/365 სერვერული მომსახურებას UPTIME 99.5%;
6.ახალ მოდულზე ტრენინგების ჩატარება (სამუშაო დღეებში).

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი	შემსრულებელი
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს „INI.GE ჯგუფი”
მის: ქ. თელავი, ქართულიუნივერსიტეტის 1	მისამართი: გურამიშვილის 7/40
ს.კ. 231187168	ს/კ 417877131
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგN/ სახაზინო კოდი : 32 04 06 11	ანგარიშის ნომერი:
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი:
სოლომონ რამაზაშვილი	სანდრო გიუნაშვილი